კონკურსი საიას თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწეთა/სტაჟიორთა მიღების შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრი აცხადებს კონკურსს ადვოკატ-კონსულტანტის თანაშემწეთა/სტაჟიორთა მისაღებად საზოგადოებრივ საწყისებზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს: იურიდიული ფაკულტეტის (საერთაშორისო სამართლის) ბაკალავრიატის მე-3 და ზედა კურსის სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს. კონკურსში მონაწილეებს მოეთხოვებათ ასევე კომპიუტერული

პროგრამების (საოფისე პროგრამები) სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

კონკურსში მონაწილე პირმა ელექტრონულ მეილზე - **trainee@gyla.ge** უნდა გამოაგზავნოს:

- ელექტრონულად შევსებული განაცხადის ფორმა (იხ. მიბმული დოკუმენტი);
- იურისტის დიპლომის ან შესაბამის კურსზე სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დასკანირებული).

ან ორივე დოკუმენტი მატერიალური ფორმით წარმოადგინოს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.
იურიდიულ დახმარების ცენტრში თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს როგორც წესი 8 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს.

თანაშემწეებს/სტაჟიორებს ევალებათ:

- იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა- პასუხების ელექტრონულ პროგრამაში დაფიქსირება;
- საჩივრების, განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარება;
- საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;
- ბუკლეტებისა და ლიფლეტების შედგენისას იურისტების დახმარება;
- იურიდიული დახმარების თანამშრომლებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა და სხვა მოვალეობათა შესრულება.

კონკურსის შედეგად შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემწეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.
საბუთების მიღება ზემოაღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე და საიას ოფისში იწარმოებს 2014 წლის 08 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით (განაცხადების წარმოდგენა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, შესაძლებელი იქნება 26 სექტემბრის 18:00 სთ-მდე). დაგვიანებით გამოგზავნილი ან წარმოდგენილი განაცხადები არ მიიღება.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

კონკურსის პირველი ეტაპზე (წერითი გამოცდა) - დაშვებული იქნება ყველა კანდიდატი, რომელიც სრულყოფილად გამოაგზავნის/წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს. წერით გამოცდაზე კონკურსში მონაწილეებს დაევალებათ კაზუსების ამოხსნა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლიდან, განაცხადში მათ მიერ მითითებული სფეროს მიხედვით.

კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება) - დაშვებული იქნებიან ის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გადალახავენ პირველ ეტაპს.
წერითი გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია გამოქვეყნდება ვებ გვერდზე, გამოცდის თარიღამდე მინიმუმ 5 დღით ადრე.
დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი - შორენა ლოლაძე.

მისამართი: თბილისი, ჯანსუღ კახიძის ქ. #15

ტელ: 2-99 50 76; 2-93 61 01